





# გუშინ ალმა-ათაში საზეიმოდ გაიხსნა მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადის ფინალი


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 141 (5171)

1974 წ. 18 ივლისი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## [illegible]-74

● ბრენობლი, 16 ივლისი. ხვალ საფრანგეთის ამ ქალაქში სტარტს აიღებს მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. ჩვენი პლანეტის 600 უძლიერესი სპორტსმენი 10 დღის მანძილზე იბრძოლებს უძლიერესის სახელისთვის.

● კიევი, 16 ივლისი. აქ ტარდება საკავშირო ჩემპიონატი გზატკეცილზე ველორბოლაში. ქალთა შორის 30 კმ-ზე გუნდურ შეჯიბრებაში ყველას აჯობეს „ზენიტის" სპორტსმენებმა, რომლებმაც დისტანციის გავლას 41.53,65 მოანდომეს. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს „სპარტაკის" I და II ნაკრებმა გუნდებმა. 187,5 კმ-ზე ვაჟთა რბოლაში გაიმარჯვა მინსკელმა ბ. ისაევმა, რომელსაც ვადგეცა კიდეც ჩემპიონის ოქროს მედალი.

● ჰელსინკი, 16 ივლისი. ფინეთისა და სსრ კავშირის მძლეოსანთა გუნდების მატჩი რბენაში დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით — 425:276. აღსანიშნავია 19 წლის ესტონელი სპორტსმენის ე. სელიკის გამოსვლა 5000-მეტრიან დისტანციაზე, სადაც მან 13.38,5 აჩვენა და იუნიორთა საკავშირო რეკორდი დაამყარა. მაგნიტოგორსკელი თ. კაზანკოვა უძლიერესი იყო 1500 მეტრზე — 4.12,4. 4×100 მ ესტაფეტაში ფინიშთან პირველი იყო საბჭოთა კვარტეტი (ტ. ჩერნიკოვა, ლ. მასლაკოვა, მ. სიდოროვა, ნ. ბესფამილნაია), რომელმაც მანძილი 43,7 წამში დაფარა. ეს შედეგი წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში. ამ სეზონში სარბენ ბილიკზე პირველად გამოვიდა მიუნხენის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონი, კიეველი ვ. ბორზოვი, იგი მეორე იყო 100-მეტრიან დისტანციაზე (10,5). გაიმარჯვა მოსკოველმა ა. კორნელიუკმა — 10,4.

## სპორტული ეკრანი

### ახალშენელთა წარმატება

ხელვაჩაურში დამთავრდა რაიონული პირველობა ფეხბურთში „ოქროს თავთავის" პრიზზე. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თასის მარმანდელი მფლობელი — წინსვლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის გუნდი „ცისკარი" და ახალშენის კოლმეურნეობის გუნდი „მზიური". ახალშენელმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს (3:2) და გათამაშების შემდეგ ეტაპზე გავიდნენ.

### საპრიზო ადგილებზე

ლიტვაში გაიმართა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა ნავიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში. საქართველოს გუნდი ბათუმელი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. პირად პირველობაში ნ. ჯალეშნაიამ და ლ. დიომინამ ორადგილიანი ნავიდარით 500 მეტრზე ასპარეზობაში II ადგილი დაიკავეს. ასეთივე წარმატება ხვდა ვაჟთა დუეტსაც (ვ. ლოგტევი და გ. სიბირკო), ხოლო ორადგილიანი კანოეებით მოასპარეზენი რ. ეზიაშვილი და კ. სტავრიანიდი VII ადგილზე გავიდნენ.

ო. მურვანიძე.

## ფრიალებს სპარტაკიადის ალამი

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ა. გურასაშვილი ალმა-ათიდან ტელეფონით გვატყობინებს

17 ივლისი. მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადის მეთორმეტე დღე. ალმა-ათის ცენტრალური სტადიონის ტრიბუნებზე ტევა არ არის. მაყურებელთა სახეებზე საზეიმო განწყობილებაა აღბეჭდილი. სარბენ ბილიკებზე ფოტორეპორტიორები ფუსფუსებენ. ყველა მოუთმენლად ელის სპარტაკიადის საზეიმო გახსნას.

17 საათი და 45 წუთია. ცხადდება 5-წუთიანი სამზადისი. დრო მალე გარბის და ცერემონიალიც იწყება...

ძნელია სიტყვებით გადმოსცე ეს დიდებული სანახაობა... აი, სამხრეთის ტრიბუნების მხრიდან სტადიონზე მწყობრი ნაბიჯით შემოდიან სპარტაკიადის მონაწილე დელეგაციები — რსფსრ-ს, მოსკოვის, ლენინგრადის, საქართველოს სპორტსმენები.

ჩვენი რესპუბლიკის ალამი მოაქვს ჭაბუკთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში გელა გელაშვილს.

ალმა-ათის ფიზიკა-მათემატიკის რესპუბლიკური სკოლის X კლასის მოსწავლე ბ. ჟარილკაპოვი პატაკს აბარებს სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს. შემდეგ მოსკოველი მოსწავლე ტატიანა ლიაშჩენკო ნორჩ მოასპარეზეთა სახელით ფიცს დებს, რომ სპარტაკიადაში ყველა პატიოსნად იასპარეზებს.

სპარტაკიადის ცეცხლი აანთო ალმა-ათის 118-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ა. დრაიხანოვამ. სპარტაკიადის ალამი აღმართეს ყველა დელეგაციის წარმომადგენლებმა. ჩვენი რესპუბლიკის სახელით ალმის აღმართვაში მონაწილეობდა საერთაშორისო ოსტატი ჭადრაკში მაია ჩიბურდანიძე.

სპარტაკიადის საზეიმო გახსნა 2 საათს გაგრძელდა.

• • •

გუშინ ჩვენი ფეხბურთელები დამარცხდნენ უზბეკეთის სპორტსმენებთან — 0:2.

## პირველი წარმატება

ინგლისის ქალაქ ტისაიდში გუშინწინ სტარტი აიღო სტუდენტ მოჭადრაკეთა გუნდურმა მსოფლიო პირველობამ. შეჯიბრებაში მონაწილეობენ 28 ქვეყნის გუნდები, რომლებიც ხუთ შესარჩევ ჯგუფში დანაწილდნენ. თითოეული ჯგუფიდან მთავარ ფინალში გავლენ I-II ადგილებზე გასული კოლექტივები.

სსრ კავშირის გუნდთან ერთად შესარჩევ ჯგუფში არიან იაპონიის, უელსის, ფინეთისა და ისლანდიის მოჭადრაკეები. I ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა სძლიეს იაპონიის ნაკრებს — 4:0. ვაგანიანმა მოუგო ტაკიმოტოს, ბალაშოვმა — ნაკატონის, ბელიავსკიმ — ნასიმურას და რომანიშინმა — იტოს. დაუმთავრებელი დარჩა უელსისა და ფინეთის მატჩი — 0,5:2,5.

სხვა ჯგუფებში თამაშობენ: მეორეში — ავსტრია, ბელგია, შვეცია, შოტლანდია და უნგრეთი (უნგრელთა გუნდის შემადგენლობაში არიან საერთაშორისო დიდოსტატები რიბლი, ადორიანი, საქსი), მესამეში — პოლანდია, გფრ, თურქეთი, ისრაელი, ჰონკონგი (გუნდს ოთხი ძმა შეადგენს) და შვეცია, მეოთხეში — დანია, დომინიკანელთა რესპუბლიკა, კუბა, ირლანდია, ჩეხოსლოვაკია და საფრანგეთი, მეხუთეში — ნორვეგია, აშშ, იტალია, ერაყი, ინგლისი და ეკვადორი.

მოჭადრაკე სტუდენტთა ეს ოლიმპიადა ოცდამეერთეა. საბჭოთა მოჭადრაკეებმა მსოფლიო ჩემპიონობა ამ ასპარეზობებში უკვე თოთხმეტჯერ მოიპოვეს.



## ილბლიანი ტირაჟები

„სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი ტირაჟები შედეგიანი აღმოჩნდა ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთათვის. მაგალითად, „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოში შემოვიდა მე-19 ტირაჟის 5 ერთხაირად შევსებული ბილეთი. ეს ბილეთები ეკუთვნის ერთ კაცს, რომელმაც 17265 მანეთი მოიგო.

წინა, მე-18 ტირაჟში ლოტარიის ჩვიდმეტმა მონაწილემ გამოიცნო 5-5 ნომერი. „საქგეოლოგიის" ინჟინერმა ა. ვეღოშვილმა 1242 მანეთი მოიგო, ცხაკაიას სამგზავრო ასკ-ს მძღოლ გ. შანავას 1081 მანეთი ხვდა, თბილისის ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშავს მ. გერსამიას — 1245 მანეთი. 1081-1081 მანეთი მოიგეს ზუგდიდელმა ლ. შელიამ და თბილისელმა მ. ყურაშვილმა.

ნ. ლონდაძე,
საქართველოს „სპორტლოტოს" ზონალური სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

## გაიმარჯვეს თბილისელებმა

გუშინ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკეთა გუნდური პირველობა.

ჩემპიონის სახელისთვის ერთმანეთს შეხვდნენ ნახევარფინალებში პირველ ადგილზე გასული თბილისისა და სოხუმის გუნდები. I დაფაზე ოსტატების ა. ბოკუჩავას (თბილისი) და ა. ტუზოვსკის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ოსტატმა ი. ჩიქოვანმა (თბილისი) მოუგო აფხაზეთის ჩემპიონს, ოსტატობის კანდიდატ ა. გიორგაძეს, ოსტატობის კანდიდატმა ზ. მიქაძემ — ზ. გაბუნიას. თბილისელმა ვოგონამ რ. გეგიძემ ფრანგულ დაცვაში თ. ჩხიკვაძესთან დებიუტში უხუსტოდ ითამაშა და ფიგურა დაკარგა, რამაც პარტიის ბედი სოხუმელის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

მატჩი თბილისელებმა მოიგეს ანგარიშით 2,5:1,5 და საქართველოს ჩემპიონობაც მათ დაისაკუთრეს.

III ადგილს ერთმანეთს ეცილებოდნენ ქუთაისისა და ბათუმის კოლექტივები. დაძაბული შეხვედრა ყაიმით (2:2) დამთავრდა. ქუთაისელმა ს. გაბუნიამ სძლია ოსტატობის კანდიდატ ფ. მელქონიანს, თ. მესხმა — მ. ჯავახიას, ბათუმელებმა გ. გოგიტიძემ და გ. ძიმისტარიშვილმა რევანში აიღეს გ. ბერიძისა და მ. მოდებაძის დამარცხებით. III ადგილი მაინც ქუთაისელებს მიეკუთვნათ, ვინაიდან I დაფაზე მათმა წარმომადგენელმა (ს. გაბუნიამ) მოიგო. ბათუმის გუნდი IV ადგილზე დარჩა.

გთავაზობთ სხვა მატჩების შედეგებს: V ადგილისთვის — ახალციხე — ზუგდიდი 2,5:1,5, VII — გორი — ტყიბული 1:3, IX — რუსთავი — ცხაკაია 2:2 (უპირატესობა რუსთავს მიენიჭა I დაფაზე მოგების გამო), XI — სამტრედია — ლაგოდეხი 3:1.

ტურნირში საუკეთესო შედეგი ჰქონდა ი. ჩიქოვანს — 6 ქულა 6-დან. ზ. მიქაძემ და თ. ჩხიკვაძემ 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს, ა. ტუზოვსკიმ და ა. გიორგაძემ 5-5.

გუშინ პირველობა საზეიმოდ დაიხურა. ბრძოლის შედეგებზე ისაუბრა მთავარმა არბიტრმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ე. მელიქსეთბეკმა (თბილისი).

თ. ნინოშვილი.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: პირველობის „რეკორდის" მფლობელი ოსტატი ი. ჩიქოვანი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაური მღვდლისა არ იყოს...

ერთობ ცუდადაა ჩვენში დაყენებული სპორტული ინფორმაციის საქმე. შინაურ ტურნირებს თავი დავანებოთ, სუსტად, რაც მთავარია, არაოპერატიულად შუქდება ჩვენი სასიქადულო სპორტსმენების მონაწილეობის ამბები დიდი მასშტაბის საერთაშორისო შეჯიბრებებში. ეგ კი არა, ჩვენივე სპორტული გამარჯვების ცნობებს საზღვარგარეთული ჟურნალ-გაზეთებიდან უფრო ვგებულობთ. უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს მეტწილად ისევ და ისევ სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მიზეზითაა გამოწვეული. ამით სულაც არ მინდა დავიცვა ჩვენი ეგრეთ წოდებული ჟურნალისტური „მუნდირი". გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: რომელ ჩვენს სპორტსმენს (ვგულისხმობ გამოჩენილ სპორტსმენებს) ჩაუბარებია თავისებური ანგარიში საზღვარგარეთ ტურნეს შემდეგ თავისი მშობლიური რესპუბლიკის მკითხველებისთვის? აქ საქმე მხოლოდ ჩვეულებრივ ადამიანურ ცნობისმოყვარეობაში როდია. სახელოვანი სპორტსმენების მიერ ნათქვამ ყოველ სიტყვას, საჯარო გამოსვლაზე რომ არაფერი ვთქვათ, უდიდესი როლის შესრულება შეუძლია სპორტის ამა თუ იმ სახეობის პოპულარიზაციაში. მაგრამ ჩვენს მკითხველ საზოგადოებას და პირველ ყოვლისა ახალგაზრდობას ხელი უფრო მიუწვდებათ უცხოეთის გამოჩენილი სპორტსმენების ბიოგრაფიებამდე, საუბრებამდე, პრესაში გამოსვლამდე. იტყვით ალბათ შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. მაგრამ, როცა „შინაურ მღვდლებს" თავად არა აქვთ საამისო სურვილი, ხალისი, მონდომება, როცა ისინი მოუცლელობის მიზეზით სათოფეზე არ იკარებენ ჟურნალისტებს, როცა კარგად არა აქვთ შეგნებული, რა მოუთმენლად ელის მშობელი ხალხი უცხოეთში მათი ყოველი გამოსვლის ამბავს, მაშინ რას იტყოდით? უკვე დიდი ხანია, რაც თავისებური ჟურნალისტური „ნადირობა" ეწყობა ჩვენს სახელოვან ჩოგბურთელზე ალექსანდრე მეტრეველზე. ვაგლახ, ყველა ცდა ამაოა. კარგად ვიცით, რომ მეტრეველი ერთობ მოუცლელია, მაგრამ ნუთუ ერთი ორი საათი, რომელიც ჟურნალისტს მასთან საუბრისთვის ესაჭიროება, ვერ უნდა გამოძებნოს, ნუთუ არაფერი აქვს სათქმელი ჩოგბურთის ურიცხვი გულშემატკივრისთვის? ვერა და ვერ მოხერხდა ინტერვიუს აღება. ვიმეორებთ, ალექსანდრე მეტრეველის მიმართ ულრმესი პატივისცემითა ვართ გამსჭვალული, მაგრამ ჟურნალისტების, ანუ მკითხველთა დიდი აუდიტორიის სურვილი მან მით უმეტეს უნდა გაითვალისწინოს. იქნებ ბევრმა არ იცის, რომ მეტრეველი პროფესიით ჟურნალისტია. საინტერესოა, რა გუნებაზე დადგება იგი, როცა თავის დროზე ამა თუ იმ სპორტსმენისგან ინტერვიუს ვერ მიიღებს?

საბედნიეროდ, მუდამ ასე როდი ხდება, ავიღოთ თუნდაც ჩვენი სასიქადულო ნონა გაფრინდაშვილი, მსოფლიოს თოხგზის ჩემპიონი, ბევრი უძლიერესი მოჭადრაკე ვაჟის რისხვა, ქართული სპორტის სიამაყე და მშვენება. ნონა არანაკლებ მოუცლელია, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერი სპორტსმენი. მაგრამ მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ჟურნალისტი ხარ თუ ჩვეულებრივი გულშემატკივარი, მუშა თუ მეცნიერი — ყველას ერთნაირი ხალისით ესაუბრება, დაწვრილებით ინფორმაციას აწვდის თავის სპორტულ გზაზე, გეგმებზე... და ამიტომ კიდევ უფრო გვიყვარს და ვაფასებთ ჩვენს ნონას — თავმდაბალ, მოკრძალებულ სათნო პიროვნებას.

ძალიან გვინდა სწორად გაგვიგოთ: ჩოგბურთის მოედნებზე მეტრეველისა და კაკულიას თბილისში ხანმოკლე ყოფნის დროს მივგიყვანა (ერთხელ კი არა, რვაჯერ!) უდიდესმა სურვილმა მკითხველისთვის გვეამბნა ჩვენი შესანიშნავი სპორტსმენების გამოსვლებზე იტალიის, საფრანგეთის, ინგლისის ტურნირებში. ამ ტურნირების თაობაზე ფართოდაა ინფორმირებული მთელი სპორტული სამყარო ჩვენი რესპუბლიკის ჩოგბურთის მოყვარულების გარდა. ის ძუნწი ინფორმაცია, რისი მიღებაც თ. კაკულიასგან ვაი-ვაგლახით მოვახერხეთ, გვინდა დღეს შემოგთავაზოთ.

**თ. კაკულია:** ჩვენი დუეტი მთლად „უხიფათოდ" როდი გაემგზავრა დიდ საზღვარგარეთულ ტურნეში. მხედველობაში მაქვს დაბრკოლებები, რაც გადამელობა იტალიის, საფრანგეთის, ინგლისის ტურნირებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად. ჩოგბურთის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით საამისოდ მე უნდა მომეგო შესარჩევი მატჩი საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელთან მოსკოველ ვლადიმერ კოროტკოვთან. უნდა ითქვას, რომ ჩემს მოსკოველ კოლეგასთან შეხვედრებში დადებითი ბალანსი მაქვს. ტრაბახით არ ვიტყვი, მაგრამ კოროტკოვს ძალზე იოლად მოვუგე (6:3, 6:0, 6:4). ამის შემდეგ მეტრეველი და მე მოსკოვიდან პირდაპირ რომში გავფრინდით. იქ მონაწილეობა უნდა მიგველო იტალიის ღია ჩემპიონატში, რომელიც საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით ფრიად ავტორიტეტულ შეჯიბრებად ითვლება.

თბილისელებს ალბათ ახსოვთ ალექსანდრე მეტრეველისა და რუმინელი ილიე ნასტასეს ორთაბრძოლა თბილისში დევისის თასის გათამაშებაში. უნდა ითქვას, რომ მეტრეველს აშკარად არ სწყალობს ბედი „მოუხელთებელ" მეტოქესთან. ასე იყო ამჯერადაც. ორი გამოჩენილი სპორტსმენის შეხვედრამ მეოთხედფინალში უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მეტრეველი დამარცხდა (3:6, 4:6). თითქოს ანგარიში არ მიგვანიშნებს ბრძოლის დაძაბულობასა და სიმძაფრეზე, მაგრამ ჩოგბურთში მშრალი ციფრები ხშირად ვერ გამოხატავენ ასპარეზობის შინაარსს. მეტრეველი არაფრით ჩამოუვარდება მრისხანე მეტოქეს. ცალკეულ გეიმებში იგი შეუდარებლად მაღლაც კი იდგა ტემპერამენტიან რუმინელთან შედარებით. მაგრამ, ეტყობა, მგზავრობამ, ხოლო მანამდე დიდი შეჯიბრებების მთელმა ციკლმა იგი საკმაოდ დაღალა, მეტრეველის ბრწყინვალე დარტყმებს ხშირად ენაცვლებოდა ელემენტარული შეცდომები, რაც ასეთი მაღალი კლასის ჩოგბურთელისთვის შეუფერებელია. იყო მომენტები, როცა ჩვენს ჩოგბურთელს „უიმედოდ" ჰყავდა მოტყუებული მოწინააღმდეგე, მაგრამ დამამთავრებელი დარტყმით ბურთს პირდაპირ ბადეში გზავნიდა.

ვფიქრობ, უკეთესად შემეძლო მეთამაშა ფრანგ ბილ გოდრელასთან. მას მანამდე არ შევხვედრივარ და ფრანგი ჩოგბურთელის თამაშის მანერას თავიდანვე ვერ ავუღე ალღო, რითაც მოხერხეაულად ისარგებლა მეტოქემ. სხვათა შორის, ბილ გოდრელას მოვუგე მოგვიანებით, უიმბლდონის ტურნირში.

დავუბრუნდეთ იტალიის ღია ჩემპიონატს. აქ კონკურენციის გარეშე იყო მსოფლიო ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავი, შვედი იონ ბორგი, 19 წლის უნიჭიერესი სპორტსმენი. რა შეიძლება ითქვას ბორგზე. მასზე უცხოეთში ბევრს წერენ და მიიჩნევენ დიდი ჩოგბურთელების ღირსეულ მემკვიდრედ. ბორგს, სწრაფ, აგრესიული სტილის მოთამაშეს, ფანატიკურად უყვარს ჩოგბურთი. და, საერთოდ, ჩოგბურთის ისტორიას თითქმის არ ახსოვს, რომ ბორგივით ახალგაზრდა ჩოგბურთელი ასეთ სტაბილურ შედეგებს აღწევდეს ყველაზე დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში. იტალიის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში ბორგმა დამაჯერებლად მოუგო ნასტასეს. სხვათა შორის, მან მეტრეველთან ერთად ითამაშა საფრანგეთის ღია ჩემპიონატის წყვილთა შეჯიბრებაში. ისღა დამრჩენია ვთქვა, რომ ნიჭიერმა შვედმა ზედიზედ გაიმარჯვა იტალიისა და საფრანგეთის ღია ჩემპიონატების პირად ტურნირებში. ეს კი ძალზე დიდი წარმატებაა.

უიღბლო გამოდგა ჩვენთვის საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. თითო გამარჯვების შემდეგ ორივე დავმარცხდით: მე — ფრანგ მაიერთან, ხოლო მეტრეველი — იუგოსლაველ ფრანულოვიჩთან. ამ ჩოგბურთელს ალბათ უახლოეს ხანში ვეთამაშებით დონეცკში დევისის თასის გათამაშებაში. სხვათა შორის, საფრანგეთის ღია ჩემპიონატში მეტრეველის გამოსვლის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს იგი უიმბლდონისთვის ინახავდა ძალას. როგორც ქვემოთ გაიგებთ, ეს მოსაზრება სწორი გამოდგა.

უიმბლდონის ტურნირი, ხაზგადლოდ, ყველაზე ავტორიტეტული შეჯიბრებაა საჩოგბურთო სამყაროში. აქ გამოდის მსოფლიოს ყველა ძლიერი სპორტსმენი — პროფესიონალებიცა და მოყვარულებიც. თვით უიმბლდონის ტურნირში მონაწილეობის ფაქტი ამა თუ იმ ჩოგბურთელის ოსტატობაზე მეტყველებს.

მეტრეველი დღესდღეობით მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელია. ამას ერთხმად აღიარებს საჩოგბურთო სამყაროს ყველა სპეციალისტი. ამ შეჯიბრებაშიც მეტრეველი წარმოგვიდგა, როგორც უმაღლესი კლასის ოსტატი. შესანიშნავ სტილში დაამარცხა მან საკმაოდ ცნობილი ჩოგბურთელები, ინგლისელი ფივერი (6:2, 6:3, 3:6, 6:1) და ჰოლანდიელი ოვერსი (9:7, 8:6, 6:4, 6:2).

მეოთხედფინალში იგი შეხვდა ამერიკელ სტოკტონს, ერთობ აგრესიულ ჩოგბურთელს. მეტრეველმა ეს მატჩი თავის შესაძლებლობებზე ნაკლები ძალით ითამაშა და დამარცხდა (4:6, 5:7, 1:6). სტოკტონმა მოუგო ნასტასესაც, რომელიც უიმბლდონში ერთობ უფერულად გამოიყურებოდა.

კიდევ ორიოდე სიტყვა მეტრეველ — სტოკტონის შეხვედრაზე. ჩემი აზრით, თამაშის საბოლოო შედეგზე დიდად იმოქმედა სუბიექტურმა ფაქტორმაც. ვიდრე მეტოქეები ერთმანეთის პირისპირ დადგებოდნენ, იმავე მოედანზე გაიმართა ქალთა ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი: მოროზოვა — კინგი. ამერიკელი ჩოგბურთელი რეკომენდაციას არ საჭიროებს. საკმარისია ითქვას, რომ ხუთჯერ (!) მოიგო უიმბლდონის ტურნირი. მაგრამ ბრწყინვალედ მოთამაშე მოროზოვასთან მან ვერაფერი გააწყო და პირწმინდად წააგო (5:7, 2:6). მოროზოვას გამარჯვება კინგთან, რამაც საბჭოთა ჩოგბურთელ ქალთა ლიდერს საშუალება მისცა პირველად გასულიყო მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატის ფინალში, პირდაპირ ბომბივით გასკდა. ვერ ვიტყვი, რომ ეს გამარჯვება ძალზე სენსაციური იყოს. მოროზოვამ ბოლო წლებში ყველაზე დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში დაამტკიცა, რომ ძალა შესწევს ქადილისა. აი, სწორედ ამ პრინციპულ მატჩს უყურებდა მეტრეველი, მღელვარებისგან ერთიანად გადაფითრებული. ეს ბუნებრივია, ვაჟთა ჩოგბურთის ლიდერი ფანატიკურად გულშემატკივრობდა თავის თანაგუნდელს. ეს მღელვარება მას სტოკტონთან შეხვედრაშიც გაჰყვა. ისე კი მეტრეველი ბევრად ძლიერია ამერიკელზე, ხოლო უიმბლდონში თავისი თამაშის ხარისხით ფინალში მონაწილეობის ღირსიც იყო. ასეა თუ ისე, მეტრეველი საბოლოო შედეგების მიხედვით მსოფლიოს რვა უძლიერესი ჩოგბურთელის რიცხვში მოხვდა, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს მის მაღალნიჭიერებას.

უიმბლდონში ჩემი თამაშით კმაყოფილი მაინცდამაინც არა ვარ. მართალია, უკვე მეორე წრეში წავაგე სახელგანთქმულ ამერიკელ ჩოგბურთელთან არტურ ეშთან, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი ნუგეშია. შემდეგ ვითამაშე უიმბლდონის ტურნირის ეგრეთ წოდებულ დამამშვიდებელ, ანუ „დაზარალებულთა" ტურნირში. აქ კი ყველა თამაში მოვიგე და პირველი ადგილი დავიკავე.

რა შეიძლება ითქვას უიმბლდონის ჩემპიონატზე? მასში მონაწილე პროფესიონალები, აგრეთვე, უძლიერესი მოყვარულები ვერ გამოიყურებოდნენ თავიანთი მაღალი ტიტულების შესაფერისად. იგრძნობოდა მათი გადაღლილობა, რაც გამოწვეულია ურიცხვ ტურნირში მონაწილეობით. გამონაკლისს წარმოადგენდა „უბერებელი", 39 წლის ლეგენდარული ავსტრალიელი კენ როზუოლი. მისი თამაში საყოველთაო აღტაცებას იწვევდა. ის არის ჩოგბურთის ცოცხალი ენციკლოპედია, თავად ჩოგბურთის სინონიმი. ამაში უთუოდ დაგვეთანხმებიან მკითხველები, თუ კი ერთხელ მაინც ნახავენ როზუოლის თამაშს. ფინალამდე ავსტრალიელმა მოუგო ჩოგბურთის „კლასიკოსებს", თანამემამულე ჯონ ნიუკომბს და ამერიკელ სტენ სმიტს. ფინალში იგი შეხვდა ამერიკელ ჯიმ კონორსს, რომელიც მანამდეც ცნობილ ჩოგბურთელად ითვლებოდა, მაგრამ სერიოზულად სათვალავში მაინც არავინ აგდებდა.

კონორსი 21 წლისაა, ტანმაღალი, ათლეტური აღნაგობისა. იგი ყურადღებას იქცევს უდიდესი შეუპოვრობით და გამძლეობით. ამ თვისებებით, რომლებიც შერწყმული იყო დახვეწილ ტექნიკასთან და ტაქტიკასთან, მან აჯობა თვით როზუოლს და უიმბლდონის ჩემპიონობა მოიპოვა. სხვათა შორის, უიმბლდონის წლევანდელი ტრიუმფატორი პირველივე წრეში ახლოს იყო დამარცხებასთან — ავსტრალიელ დენტთან. ოთხჯერ შეეძლო შეხვედრის მოგება დენტს ერთადერთი დარტყმით, მაგრამ მოხდა სასწაული და კონორსმა თავი დააღწია დამარცხებას. ამის შემდეგ მას არ გასჭირვებია ფინალამდე მისვლა. ფინალში მას ელოდა გვარიანად დაღლილი როზუოლი.

რა დაემართა ნიჭიერ ბორგს? ეტყობა, მან ძალა შეალია იტალიისა და საფრანგეთის ტურნირებს. მეორე წრეში ეგვიპტელ ელ შაფეისთან შეხვედრაში მისი ცნობა გაგიჭირდებოდათ. ასე გამოაკლდა უიმბლდონის ჩემპიონატს ბორგი, რომელსაც, სპეციალისტების აზრით, ხელსაცია უნდა მოეხდინა.

საუბარი ჩაიწერა
ა. გოგელიამ.



ზაფხულია. ათეულ ათასობით მოსწავლე პიონერთა ბანაკებში ისვენებს და ჯანს იკაჟებს. თბილისში 12 საქალაქო და 29 ეზოს ბანაკია გახსნილი.

დიდი და საინტერესო მუშაობაა გაშლილი პიონერულ ბანაკ „აისში", სადაც 200-მდე ნორჩი თბილისელი ისვენებს. ტარდება ექსკურსიები, შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთში, ფეხბურთში, ჭადრაკსა და შაშში. მოსწავლეები მონდომებით ემზადებიან და წარმატებით აბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს.

სურათზე: „აისის" ნორჩი სპორტსმენები. მორიგი ტურისტული ლაშქრობის დროს.

ი. იუნაევის ფოტო.

## „ლელო" წერილის კვალდაკვალ

### „დავეხმაროთ სოფლის ახალგაზრდობას"

ამ სათაურით „ლელოს" 5 ივლისის ნომერში დაბეჭდილ წერილში აღნიშნული იყო, რომ გარდაბნის რაიონის სოფელ ტაბახმელაში სუსტადაა დაყენებული სპორტული მუშაობა. „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე ო. მიქელაშვილი გვატყობინებს, რომ სოფელში მდგომარეობა გამოსწორდა, შეიძინეს ინვენტარი, შეაკეთეს ფრენბურთის მოედანი და ხაჭიდაო ორმო. ო. მიქელაშვილი გვწერს აგრეთვე, რომ ტაბახმელის ბიოკომბინატის (დირექტორი ც. მენთეშაშვილი) გენერალური გეგმით საწარმოს შემავალ სოფლებში გათვალისწინებულია სპორტული მოედნების აგება, სოფელ ტაბახმელაში კი კულტურის სახლის აშენება და სტადიონის კეთილმოწყობა.

### „ბაზას მოვლა სჭირდება"

ამ სათაურით „ლელოს" 18 ივნისის ნომერში დაიბეჭდა ჩვენი კორესპონდენტის ა. ანასაშვილის წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საჩხერის რაიონის სოფელ ჭალის კოლმეურნეობის ფეხბურთის მინდორს მოვლა სჭირდება. „კოლმეურნის" საჩხერის რაისაბჭოს თავმჯდომარე თ. ლაშხი გვატყობინებს, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად მიღებულია ზომები.





# ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

### I ლიგა

16 ივლისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელები ივანო-ფრანკოვსკში შეხვდნენ ადგილობრივ „სპარტაკს“ და ფრედ ითამაშეს — 0:0.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 1:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 1:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:3, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „დინამო“ (მინსკი) 0.1, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 2:1, „ზვეზდა“ (პერმი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:1, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 1:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — ასკ (როსტოვი) 0:1. ლიპეცკის „მეტალურგისა“ და დუშანბეს „პამირის“ შეხვედრა გადატანილია.

## საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „განთიადი“ (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:0. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

გვერდით მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილება მიეცა ტყიბულელ ვ. ბოჭორიშვილს.

● „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:2. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

მეტალურგებმა უპირატესობით დაიწყეს თამაში, რამდენიმე საიერიშო კომბინაცია განახორციელეს და მე-17 წუთზე „სპარტაკის“ ერთ-ერთი მცველი იძულებული იყო აკრძალული ხერხით შეეჩერებინა სახიფათო პოზიციაში გასული მოწინააღმდეგე თავდამსხმელი. 11-მეტრიანი ზუსტად შეასრულა მანჩხაშვილმა. ტაიმის დასასრულს ბოჭორიშვილმა მეორედ აიღო მასპინძელთა კარი. სპარტაკელებმა შესვენების შემდეგ გამოასწორეს მდგომარეობა, მაგრამ შეძლეს მხოლოდ ის, რომ თავი დააღწიეს „მშრალი“ ანგარიშით დამარცხებას (კოზაევი).

გაფრთხილებული არიან ცხინვალელი ფეხბურთელები ვ. ვახტანგაშვილი და ბ. გაზაევი. აღსანიშნავია, რომ ორივესთვის ეს მეორე გაფრთხილებაა წლეულს.

● „მეტალურგი“ (რუსთავი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

ქობულეთელი გორგილაძის მიერ გატანილი ბურთი მალე გაქვითა გოგუაძემ, შესვენების შემდეგ კი გაგუას ზუსტმა დარტყმამ გამარჯვება მოუტანა ლიდერს.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია ქობულეთელი ვ. დიმანოვი. რუსთაველმა თ. მიქაშავიძემ გაფრთხილება მიიღო უხეშობისთვის, თანაც ეს ფეხბურთელი ადრე უკვე იყო გაძევებული მინდვრიდან.

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „დინამო“ (სოხუმი) 0:2. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

● „კახეთი“ (თელავი) — „სულორი“ (ვანი) 1:1. მსაჯი ჯ. მგელაძე (თბილისი).

ანგარიში მე-3 წუთზე გახსნა ვანელმა ქართველიშვილმა, ხოლო საპასუხო ბურთი შუა ტაიმში გაიტანა ელისაშვილმა. შემდგომში „კახეთს“ საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა.

დისციპლინის დარღვევისთვის გაფრთხილებული არიან „სულორის“ წევრები გ. მეფარიშვილი და ვ. ტრაპაიძე.

● „ივერია“ (ხაშური) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 1:2. მსაჯი ჟ. ძნელაძე (თბილისი).

ორივე გუნდს პირველ ტაიმშივე ჰქონდა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, ეს მომენტები კი არ იქნა გამოყენებული. შემდეგ ცხაკაიელებმა ხოფერიამ და ქაჩიბაიამ ორჯერ აიღეს მასპინძელთა კარი, ხოლო 85-ე წუთზე გუნცაძემ შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა.

● „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ვარძია“ (ასპინძა) 1:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

მაღაროელთა ქალაქის სტადიონზე მოეწყო ხელოვნური განათება და ეს მატჩი პირველად მიმდინარეობდა ელექტროშუქზე. თამაში წარიმართა ძალზე საინტერესოდ, მაღალ ტემპში. მისი ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც ივანოვმა გაიტანა 26-ე წუთზე.

### მეორე ჯგუფი

#### I ზონა

„დურუჯი“ (ყვარელი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 5:0, „განთიადი“ (კასპი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 7:0, „არაგვი“ (დუშეთი) — „სამცხე“ (აწყური) 7:1, „ყინწვისი“ (ქარელი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 2:1, „კოლმეურნე“ (ბორჯომი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:3.

#### II ზონა

„იმერეთი“ (თერჯოლა) — „სქური“ (წალენჯიხა) 4:2, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „კოლმეურნე“ (წულუკიძე) 2:0, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „მზიური“ (გალი) 3:1, „გიგანტი“ (ლაითური) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 8:1, „კოლმეურნე“ (გულრიფში) — „განთიადი“ (აბაშა) 3:3.

### ზონალური პირველობა

„თრიალეთი“ (წალკა) — „ფარვანა“ (ბოგდანოვკა) 4:0, „სპარტაკი“ (მარნეული) — „არაგვი“ (მცხეთა) 2:1, „მეშაქრე“ (აგარა) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 0:0, „შალაური“ (თელავი) — „პოლიტექნიკოსი“ (საგარეჯო) 0:2, „წინანდალი“ (თელავი) — „იორი“ (სართიჭალა) 3:2, „იორი“ (თიანეთი) — „ქიმიკოსი“ (ახმეტა) 1:1, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „ლესიჭინე“ (ჩხოროწყუ) 3:2, „ხვანჭკარა“ (ამბროლაური) — „ქიმიკოსი“ (წულუკიძე) 0:4.

## გათამაშების ცხრილები

### I ჯგუფი

მდგომარეობა 18 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 17 | 12 | 4 | 1 | 34—11 | 28 |
| „მაღარ.“ | 18 | 11 | 4 | 3 | 27—8 | 26 |
| „დინამო“ | 18 | 9 | 6 | 3 | 32—16 | 24 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფ.) | 17 | 10 | 4 | | 33—21 | 24 |
| „სალხინო“ | 17 | 7 | 9 | 1 | 25—13 | 23 |
| ფიზკ. ინსტ. | 17 | 8 | 6 | 3 | 33—20 | 22 |
| „ლოკომ.“ | 16 | 8 | 6 | 2 | 29—18 | 22 |
| ასკ (თბ.) | 15 | 8 | 5 | 2 | 33—12 | 21 |
| „შუქურა“ | 18 | 7 | 5 | 6 | 24—17 | 19 |
| „კახეთი“ | 18 | 7 | 5 | 6 | 31—29 | 19 |
| „კოლხეთი“ | 17 | 4 | 9 | 4 | 22—21 | 17 |
| „ამირანი“ | 17 | 6 | 5 | 6 | 17—16 | 17 |
| „ქართლი“ | 18 | 6 | 3 | 9 | 28—31 | 15 |
| „ეგრისი“ | 18 | 5 | 5 | 8 | 17—25 | 15 |
| „განთიადი“ | 18 | 3 | 7 | 8 | 21—27 | 13 |
| „მეშახტე“ | 17 | 4 | 4 | 9 | 21—33 | 12 |
| „სულორი“ | 18 | 3 | 4 | 11 | 15—50 | 10 |
| „ვარძია“ | 18 | 3 | 3 | 12 | 14—38 | 9 |
| „სპარტაკი“ | 18 | 2 | 4 | 12 | 16—35 | 8 |
| „ივერია“ | 18 | 2 | 0 | 16 | 17—48 | 4 |

### II ჯგუფი

#### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 12 | 8 | 4 | 0 | 37—8 | 20 |
| „განთიადი“ (კასპი) | 12 | 7 | 2 | 3 | 27—18 | 16 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 12 | 6 | 2 | 4 | 23—15 | 14 |
| „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) | 11 | 5 | 3 | 3 | 21—14 | 13 |
| „ყინწვისი“ (ქარელი) | 12 | 5 | 2 | 5 | 23—18 | 12 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 10 | 4 | 3 | 3 | 19—17 | 11 |
| „მადნეული“ (ბოლნისი) | 10 | 4 | 3 | 3 | 19—22 | 11 |
| „კოლმეურნე“ (ბორჯომი) | 11 | 4 | 2 | 5 | 18—22 | 10 |
| „განახლება“ (ადიგენი) | 11 | 3 | 3 | 5 | 13—19 | 9 |
| „არაგვი“ (დუშეთი) | 9 | 3 | 1 | 5 | 14—16 | 7 |
| „სამცხე“ (აწყური) | 12 | 1 | 3 | 8 | 17—40 | 5 |
| „ცისკარი“ (სიღნაღი) | 10 | 1 | 2 | 7 | 5—27 | 4 |

#### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლმეურნე“ (წულუკიძე) | 11 | 7 | 3 | 1 | 25—11 | 17 |
| „იმერეთი“ (თერჯოლა) | 11 | 7 | 2 | 2 | 28—14 | 16 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 11 | 5 | 4 | 2 | 21—10 | 14 |
| „სქური“ (წალენჯიხა) | 11 | 4 | 4 | 3 | 22—15 | 12 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 11 | 3 | 5 | 3 | 20—25 | 11 |
| „კოლმეურნე“ (გულრიფში) | 11 | 4 | 3 | 4 | 17—22 | 11 |
| ხის დამმუშ. კომბ. (სამტრედია) | 10 | 4 | 2 | 4 | 24—19 | 10 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 11 | 3 | 3 | 5 | 19—19 | 9 |
| „მზიური“ (გალი) | 11 | 1 | 6 | 4 | 15—22 | 8 |
| „ჩიხურა“ (საჩხერე) | 11 | 2 | 2 | 7 | 13—27 | 6 |
| „განთიადი“ (აბაშა) | 11 | 1 | 4 | 6 | 10—30 | 6 |

# ალვის ხეების ჩრდილში

თბილისის ორჯონიკიძის რაიონში, „გამარჯვების“ პარკში, გახსნილია პიონერთა ბანაკი „მზიური“, სადაც 140 მოსწავლე ატარებს ზაფხულს. წითელყელსახვევიანი პიონერები აქტიურად მონაწილეობენ ბანაკის სპორტულ ცხოვრებაში, რომელსაც ფიზკულტურის ინსტიტუტის მასწავლებელი ს. მანაგაძე ხელმძღვანელობს.

ორიოდე დღის წინათ ბანაკში დამსვენებელთა მეორე ნაკადი მოვიდა. ეს პიონერებიც ინტერესით ჩაებნენ ბანაკის სპარტაკიადაში.

პირველი ნაკადისთვის მოეწყო შეჯიბრებები ფეხბურთში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთსა და მძლეოსნობაში. სტარტზე ასამდე მოსწავლე გამოვიდა. ამ შეჯიბრებას მოსწავლეებმა საგანგებო ფოტოსტენდები მიუძღვნეს.

• • •

სურათებზე: ალვის ხეებით გარშემოკრულ სპორტულ მოედანზე I რაზმის ნორჩ კალათბურთელებს შეჯიბრება გაუმართავთ. იქვე ტურნირი დაუწყიათ მოჭადრაკეებს. პიონერხელმძღვანელი მ. მარტინენკო ბავშვებს სპორტის ახალ ამბებს აცნობს.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

# დავით ჩხაიძე — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი

გუშინ თბილისში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირადგუნდური ჩემპიონატი ავტოსამოდელო სპორტში. რადიომართვის მოდელებით შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა თბილისის 63-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელმა დ. ჩხაიძემ.

# ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

## ევროპისა და აზიის საზღვარზე

ივნისში სამხრეთ ურალის დედაქალაქში სხვადასხვა ქალაქიდან ჩასულმა მოგზაურობის მოყვარულებმა მოიყარეს თავი და სასტუმრო „ტურისტში“ გაჩერდნენ. ამ ჯგუფმა გახსნა ახალი საკავშირო ტურისტული მარშრუტი — ჩელიაბინსკიდან ურალის მთებისკენ, ევროპისა და აზიის საზღვარზე.

სასაზღვრო ქედის კლდოვანი გორაკებისა და მარადმწვანე წიწვიანი ფერდობების მახლობლად განლაგებულია ორი დიდი ტურისტული ბაზა — ილმენისა და ურალისა, რომლებიც ერთდროულად ათასამდე ადამიანს მასპინძლობენ.

ეს ბაზები მდებარეობენ მთის ტბა ილმენის ნაპირზე, მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული სახელმწიფო ნაკრძალის მახლობლად. ამ „მინერალოგიურ სამოთხეში“, როგორც მას აკადემიკოსმა ა. ფერსმანმა უწოდა, ტურისტული მარშრუტი გადის მთებში, მწვერვალ ტაგანაისკენ, რაც ბაშკირულად „მთვარის სადგარს“ ნიშნავს.

ტურიზმის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ბ. კატაევი გვიამბობს, რომ „ქვის სარტყლის“ ტყეებსა და მთებში ლაშქრობები სულ უფრო პოპულარული ხდება მოგზაურობის ენთუზიასტთა შორის. ფართოვდება ბაზების ქსელი. ერთ-ერთი ბაზა აიგება მოსკოვ—ვლადივოსტოკის მაგისტრალის მახლობლად და გათვალისწინებულია ავტოტურისტებისთვის. სტუმრები დაათვალიერებენ ტაიგის ტყეებს, ნახავენ „ურალის რიწას“ — ზიურატკულის ტბას, იმოგზაურებენ აიზე, იურაზანზე და სხვა მდინარეებზე, დაათვალიერებენ მღვიმეებს.

მ. პოზდნიაკოვი.
(საქდესის კორ.).

ჩელიაბინსკი.

## მიზანი — დიდოსტატური ბალი

დონეცკის მეტალურგიული ქარხნის მემონტაჟე-ზეინკალთა ბრიგადირს ნ. მიშჩანსკის საზეიმოდ გადაეცა უკრაინის სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდების მინიჭების მოწმობა. მიშჩანსკი თავისი საქმის კარგი სპეციალისტია და ამავე დროს კარგი მოჭადრაკეა.

თავის ვაჟს კოლიას პირველი სვლები მიშჩანსკიმ ჯერ კიდევ სკოლაში შეყვანამდე ასწავლა, მერე კი მისი მწვრთნელი გახდა. ორი წლის წინათ უმცროსმა მიშანსკიმ მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა ჭაბუკთა შორის. ეს მოხდა ამსტერდამში, სადაც დონეცკის ფიზკულტურის ტექნიკუმის მოსწავლემ ღირსეულად დაიცვა მოჭადრაკეთა საბჭოური სკოლის ღირსება. გასული წლის დამლევს მან იმავე ამსტერდამის საერთაშორისო ტურნირში პირველობა გაიყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონ ა. განტვარგთან.

მიშჩანსკების ოჯახში ყველა თამაშობს შაშს. სამედიცინო სასწავლებლის მეორე კურსის მოსწავლემ ტანია მიშჩანსკაიამ ამას წინათ ყველას აჯობა „სპარტაკის“ საკავშირო ტურნირში.

... მიშჩანსკების ოჯახურ რელიკვიებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „საპატიო ნიშნის“ ორდენს და მედალს „წარჩინებული შრომისთვის“. ამ ჯილდოებით აღნიშნულია ოჯახის უფროსის დამკვრელური შრომა.

... სამონტაჟო საამქროს გუნდს ვერც შაშში სჯობს ვინმე. გუნდს ხელმძღვანელობს, წვრთნის და შეჯიბრებებისთვის ამზადებს ყველასგან პატივცემული ბრიგადირი, სპორტის დამსახურებული მწვრთნელი ნ. მიშჩანსკი.

უკვე დიდი ხანია მამა-შვილი მიშჩანსკები სსრ კავშირის სპორტის ოსტატები არიან. მაგრამ უმცროსმა უკვე საერთაშორისო ოსტატის ტიტულს „დაადგა თვალი“ და დამაჯერებლად მიიწევს დიდოსტატური ბალისკენ...

ბ. გერცენოვი.
(საქდესის კორ.).

დონეცკი.

## მთელი წლის მანძილზე...

ყირიმის ოლქის დაბა ნაუჩნის მცხოვრებმა ვლადიმერ სენიჩევმა ორიგინალური წყლის თხილამურები გააკეთა. ამ თხილამურებით სრიალი წლის ნებისმიერ დროს შეიძლება, თუკი სადმე ახლოს წყალსატევი იქნება. გარეგნულად თხილამური მინიატურულ ბაიდარას ჰგავს. მისი წონა 4 კგ-ს აღწევს. თავისი გამომგონებლის სიმძიმის ქვეშ იგი მხოლოდ ნახევრად იძირება წყალში.

ვლადიმერი ამ თხილამურებით ქარივით დაქრის წყალზე. ბიძგისთვის იგი იყენებს ჩვეულებრივ სათხილამურო ჯოხებს, რომლებზეც გაბერილი ფრენბურთის კამერებს ამაგრებს. თუ აუცილებელია წონასწორობის დაცვა, აქ ენთუზიასტს ეხმარება პატარა აფრა, რომელიც ზურგს უკან ფრთებივით აქვს მიმაგრებული.

ამჟამად გამომგონებელი ახალი კონსტრუქციის თხილამურებს ამუშავებს.

(საქდესის კორ.).

იალტა.



ლენინგრადელი ა. ბელოვი ერთხმად იქნა აღიარებული VII მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ცენტრალურ თავდამსხმელად.

ს უ რ ა თ ზ ე: ა. ბელოვი უტევს ამერიკის კალათბურთელთა კალათს (ფოტო გადაღებულია 1974 წლის მაისში, მოსკოვში სსრ კავშირისა და აშშ-ს ნაკრები გუნდების შეხვედრის დროს).

# ყველას თავისი აზრი აქვს

კალათბურთელ ვაჟთა VII მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტებმა დაასახელეს ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები. აი, როგორ განაწილდა ხმები ცალკეულ რგოლებს შორის:

**თავდამსხმელები:** ბრაბენდერი (ესპანეთი) — 37 ხმა, სალნიკოვი (სსრ კავშირი) — 25, კიჩანოვიჩი (იუგოსლავია) — 21, ა. ბელოვი (სსრ კავშირი) — 14, ჯერარდი (აშშ) — 11.

**ცენტრალური თავდამსხმელები:** ა. ბელოვი (სსრ კავშირი) — 36, ჩოსიჩი (იუგოსლავია) — 16, ბიორდენი (აშშ) — 2, ლაიკი (ესპანეთი) — 1, ელოვაცი (იუგოსლავია) — 1.

**მცველები:** ლუკასი (აშშ) — 49, კიჩანოვიჩი (იუგოსლავია) — 21, სლავნიჩი (იუგოსლავია) — 14, სალნიკოვი (სსრ კავშირი) — 9, ბრაბენდერი (ესპანეთი) — 4.

როგორც ხედავთ, ზოგიერთი კალათბურთელი ამ სიაში დასახელებულია როგორც თავდამსხმელთა, ისე მცველებს შორის (ბრაბენდერი, კიჩანოვიჩი). ა. ბელოვის ამპლუად ჟურნალისტების ერთ ნაწილს მიაჩნია თავდამსხმელის ადგილი, მეორეს კი — ცენტრალური თავდამსხმელის როლი. ეს არც უნდა გვიკვირდეს, ვინაიდან ამ სახის ანკეტები მეტწილად სუბიექტურ შეხედულებებს გამოხატავენ. ზოგს, მაგალითად, შეიძლება ს. ბელოვი ჩინებულ თავდამსხმელად მიაჩნდეს. ბელოვი შედეგიანობით ხშირად მართლაც ჩაგრავს თავდამსხმელებს, მაგრამ, თუ უფრო ღრმად დავუკვირდებით მის თამაშს, იგი მაინც უკანა ხაზის კალათბურთელია, გამოკვეთილი მცველი.

დაახლოებით ანალოგიური შეუსაბამობა მოხდა ა. ბელოვის როლის განსაზღვრისას. გარეგნულად იგი არ ჰგავს ცენტრალური თავდამსხმელის კლასიკურ ტიპს, თანაც, არ ერიდება „გარედან" ბრძოლას, მეტს მოძრაობს და საკმაოდ გათვითცნობიერებულ ია პოზიციურ თამაშში. და მაინც, ა. ბელოვი ცენტრალური თავდამსხმელია, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატზე აკრედიტებულმა თოთხმეტმა ჟურნალისტმა მას ხმა მისცა, როგორც გარემარბს.

სულ სხვა საქმეა ჩემპიონატის დირექტორატის აზრი, აქ კონკურსში მხოლოდ და მხოლოდ სპეციალისტები მონაწილეობდნენ, კალათბურთთან ახლოს მდგარი ადამიანები, ამიტომაც მათი აზრი თრმავად ავტორიტეტულია. დირექტორატმა დაამტკიცა VII ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეთა სია: საუკეთესო თავდამსხმელი — სალნიკოვი, საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელი — ა. ბელოვი, საუკეთესო მცველი — ლუკასი. ეს უკანასკნელი, ამავე დროს, აღიარებულია VII მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ.

• •

### ჩემპიონატების პრიზიორები

I ჩემპიონატი. 1950 წ. 1. არგენტინა, 2. აშშ, 3. ჩილი.

II ჩემპიონატი. 1954 წ. 1. აშშ, 2. არგენტინა, 3. ფილიპინები.

III ჩემპიონატი. 1959 წ. 1. ბრაზილია, 2. აშშ, 3. ჩილი.

IV ჩემპიონატი. 1963 წ. 1. ბრაზილია, 2. იუგოსლავია, 3. სსრ კავშირი.

V ჩემპიონატი. 1967 წ. 1. სსრ კავშირი, 2. იუგოსლავია, 3. ბრაზილია.

VI ჩემპიონატი. 1970 წ. 1. იუგოსლავია, 2. ბრაზილია, 3. სსრ კავშირი.

VII ჩემპიონატი. 1974 წ. 1. სსრ კავშირი, 2. იუგოსლავია, 3. აშშ.

# სპორტსმენთა სიმღერა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმმა ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად დიდი ამოცანები დაუსახა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებსაც. დღეს, როცა რესპუბლიკის ცხოვრების ყველა უბანზე მნიშვნელოვანი ძვრები ხდება, თავიანთი სიტყვა უნდა თქვან მწერლებმა, მხატვრებმა, კომპოზიტორებმა, რომლებმაც ფართოდ უნდა ასახონ საბჭოთა ადამიანთა თავდადებული შრომა, მათი მიღწევები სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, მეცნიერებაში, სპორტში...

პირდაპირ უნდა ვთქვათ, საქართველოს სპორტსმენები განებივრებული არ არიან ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ყურადღებით. ჩვენი ათლეტების საინტერესო, უდავოდ შინაარსიანი ცხოვრება, მათი ყოველდღიური შრომა სამშობლოს სპორტული სახელის სადიდებლად მხატვრულ შემოქმედებაში ასახვას ელის.

დღეს გთავაზობთ „სპორტსმენთა სიმღერას", რომელიც კომპოზიტორმა ო. დისამინჯიამ შექმნა პოეტ ა. მეგამშვილის ტექსტზე.

ვადიდებია ჩვენი სამშობლოს
დიდი სახელი,
ყოველთვის ლელო გაგვიტანია,
შიში არ ვიცით, ვართ სიძნელეთა
გადამლახველი,
მწვერვალზე დროშა აგვიტანია.

მისამღერი:

მზად ვართ სამშობლოს მუდამ
ვუჩვენოთ
რა გმირულია ჩვენი თაობა,
ძალა არ არის, რომ შეაჩეროს
ახალგაზრდობის გამბედაობა.

გმირთა მოდგმა ვართ, ჩვენთვის
უცხოა
დაძაბულობა
და შეტევაზე ზღვასთან გადავალთ.
მზეში ნაწრთობებს, გვიყვარს
მდინარე,
ტყე და ბუნება.
სამშობლოვ, შენთვის მუდამ
მზადა ვართ.

მისამღერი:
მზად ვართ...

მხნედ მივაბიჯებთ. გზას
გვილოცავენ
გმირთა დედანი
და ხელი მზისთვის მიგვიწვდენია.
ბედნიერნი ვართ, ჩვენია ბურთი
და მოედანი
და გატანილი ლელოც ჩვენია.

მისამღერი:
მზად ვართ...




# ჰოკეისტებს შვებულებაც არა აქვთ მოცლა

საბჭოთა ჰოკეისტებს დიდი გამოცდა ელით: მოკლე ხანში ისინი გაემგზავრებიან სპორტის ამ სახეობის სამშობლოში — კანადაში, სადაც გამართავენ რამდენიმე საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს მასპინძელთა პროფესიულ გუნდებთან. საუკეთესო საბჭოთა ჰოკეისტებს მოცლა არც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ექნებათ. ისინი კვლავ ივარჯიშებენ, რათა ღირსეული მასპინძლობა გაუწიონ კანადელ პროფესიულ ჰოკეისტებს.

სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებში შეიცვალა მწვრთნელთა შემადგენლობა. ბ. კულაგინი, რომელიც ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატში გუნდის მეორე დამრიგებელი იყო, ახლა უფროსი მწვრთნელია. მას დაეხმარებიან თავის დროზე ცნობილი ჰოკეისტები კ. ლოკტევი და ვ. იურზინოვი.

**კალეიდოსკოპი**

ჩერვინია, 16 ივლისი. იტალიის ამ ქალაქის მახლობლად მდებარე ბრეიტჰორნის საყინულის კილომეტრიან ტრასაზე 20 წლის ამერიკელმა მოთხილამურემ მაკ-კენიმ საათში 189,475 კმ გაანვითარა. ეს მსოფლიოს აბსოლუტური რეკორდია, რომელიც მანამდე იტალიელ ა. კასეს ეკუთვნოდა და დამყარებული იყო ამავე ტრასაზე ერთი წლის წინათ. კასეს შედეგი იყო 184,237 კმ საათში.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მწვრთნელთა სკოლა

აცხადებს მიღებას 1974-75 სასწავლო წლისათვის ქართულ და რუსულ სექტორებზე. მწვრთნელთა სკოლა ამზადებს კვალიფიციურ სპეციალისტ მწვრთნელებს ჭიდაობაში, კრივში, კალათბურთში, ველოსპორტში, ფრენბურთში, სპორტულ ტანვარჯიშში, ნიჩბოსნობაში, მძლეოსნობაში, ცურვაში, აფროსნობაში, ხელბურთში, ხრიალში, ძალოსნობაში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ტურიზმსა და ფეხბურთში.

მწვრთნელთა სკოლაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება და არანაკლებ II თანრიგისა, სპორტის არჩეულ სახეობაში.

შეღავათებით სარგებლობენ:

1. ა) საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულნი,

ბ) ორ წელზე მეტი სამუშაო სტაჟის მქონენი,

გ) სსრ კავშირის სპორტის ოსტატები.

2. ის პირები, რომლებიც მწვრთნელთა სკოლაში გამოგზავნილი იქნებიან საწარმოებიდან, მშენებლობებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან და კოლმეურნეობებიდან თავიანთი ობიექტებისთვის კადრების მომზადების მიზნით.

მისაღები გამოცდები ტარდება 18-დან 28 აგვისტომდე შემდეგ საგნებში:

1. სპეციალიზაცია (სპორტის არჩეული სახეობა);

2. საერთო ფიზიკური მომზადება (სპეციალური ნორმატივები ტანვარჯიშში, მძლეოსნობასა და ცურვაში);

3. მშობლიური ენა (წერითი);

4. სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი).

სწავლების ხანგრძლივობაა წელიწადი და 10 თვე.

განცხადებას უნდა დაერთოს: საშუალო განათლების საბუთი (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), ექვსი ფოტოსურათი (3X4 სმ), სპორტსმენის საკლასიფიკაციო ბილეთი არჩეულ სახეობაში, მზადყოფნის კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების ცნობა, დაბადების მოწმობა, პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან ჩაწერის მოწმობა (წარადგინენ პირადად), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, დახასიათება და ავტობიოგრაფია.

მწვრთნელთა სკოლაში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის თანახმად. სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ მოსწავლეებს ბინა მიეცემათ საერთო საცხოვრებელში შესაძლებლობის მიხედვით.

განცხადებები მიიღება 15 ივლისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით.

დირექცია.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 10716